

კახი წერეთელი, მალხაზ ცინდელიანი

### ანტიფიქსი ალავერდის მონასტრიდან

2006 წელს არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ე.წ. დაბალ პალატში, რომელიც საკვლევი არქიტექტურული ანსამბლის ერთ-ერთ ადრეულ ნაგებობადაა მიჩნეული და სპეციალურ ლიტერატურაში წმინდა გიორგის კათედრალური ტაძრის თანადროულ ანუ XI საუკუნის ნაგებობად განიხილება [20, 527-528].

აღნიშნული ძეგლის არქეოლოგიური შესწავლის შედეგებმა ზემოხსენებული თარიღი ფაქტობრივად დაადასტურა, რაც არქიტექტურულ მონაცემებთან ერთობლიობაში, არქეოლოგიური მონაპოვრის ანალიზს ემყარება.

წინამდებარე წერილში განვიხილავთ ხსენებული გათხრებისას მიკვლეულ ერთ-ერთ არტეფაქტს – ანტიფიქსს, რომელიც გამოვლინდა „დაბალი პალატის“ სამხრეთ-დასვლეთ კუთხესთან ნაყარ ფენაში, სადაც ერთმანეთში არეული იყო შუა საუკუნეთა სხვადასხვა ეტაპების არქეოლოგიური მასალა, რომელიც აქ XX საუკუნის 70-იან წლებში, ძეგლზე წარმოებული მასშტაბური აღდგენითი სამუშაოების პროცესში, მონასტრის ტერიტორიის ეზოს სამხრეთი ნაწილის ნიველირებისას დახვავდა.

ანტიფიქსი წარმოადგენს მოჩალისფრო-ღიაცისფრად გამომწვარ, უწვრილესმინარევიან, მკვრივი კეცის მქონე, სავარაუდოდ კალიბტერის თავის ნატეხს, რომლის მარჯვენა და ქვედა ნაწილები მომტვრეულია (შემორჩენილი სიმაღლე – 12,2, სმ; სიგანე – 5,6 სმ.). ანტიფიქსის წითლად შეღებილი ზედაპირი ანუ ფარი ზემოთკენ მორკალულ-დავინროებულია, მარცხენა კიდესთან გასდევს ვიწრო რელიეფური ზოლი, ცენტრში მოთავსებულია ბრტყელ ზედაპირიანი, ბოლოებგანტოტვილი ჯვრის რელიეფური გამოსახულება (ჯვრის სიმაღლე – 5,3 სმ; სიგანე – 3,7 სმ.), რომლის ქვედა, შედარებით მაღალსა და განიერი მკლავის ძირას ჯვრის ზედაპირის თანაბარი სიმაღლის, წვეროებით ზემოთ მიმართული, ნახევარმთვარისებური ფორმის რელიეფია გამოძერწილი (ტაბ. I).

აღსანიშნავია, რომ ალავერდის მონასტრის ტერიტორიაზე ჩვენს მიერ თუ ადრე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებულ ან შემთხვევით მიკვლეულ სხვადასხვა დროისა და ფორმა-მოყვანილობის კრამიტებს შორის, საკვლევ ანტიფიქსს

ანალოგი არ ეძებნება; ამასთანავე, აღმოჩენის ვითარებასაც თუ გავითვალისწინებთ, ალავერდის ანტიფიქსის თარიღის საკითხის გარკვევის ერთადერთ საშუალებად შედარებით სტილისმიერი ანალიზის მეთოდი გვესახება.

ანტიფიქსი ანუ სახურავის კიდულის გასწვრივ მოთავსებული სკულპტურული სამკაული საქართველოს სამშენებლო კერამიკაში ელინისტური ხანიდანაა ცნობილი, რისი ერთ-ერთი ადრეული ნიმუშია ძველი ვანის ტაძარ-პროპილეუმის კრამიტყრილში მიკვლეული ძვ.წ. II საუკუნის ღარიანი კრამიტები, რომელთაგან ერთზე პალმეტა გამოსახული, ხოლო დანარჩენებზე ფიგურული სტილის აკანთის ორნამენტში ლომის თავის სკულპტურაა ჩასმული [10, 19, ტაბ. XVII 1,2]. ადრე შუასაუკუნეების, კერძოდ V-VI სს. ანტიფიქსები აღმოჩნდა ნოქალაქევ-არქეოპოლისის სასახლეში, აგრეთვე ამ სასახლის მახლობლად მდებარე სამნავიან ბაზილიკაში [6, 78, ტაბ. XVIII 2-1], რუსთავში [9, 349], ალაიანში [7, 15], ურბნისში [3, 67], ურბნისის გარეუბან ქვაცხელაში [13, 3]. V-VI სს-ითაა დათარიღებული შირაქის „შავი მთის“ საკულტო ნაგებობაში აღმოჩენილი ანტიფიქსები სიცოცხლის ხის სტილიზებული გამოსახულებებით [8, 35, ტაბ. LX], თუმცა მათი შედარებით ადრეულობის ვერსიაც არაა გამოსარიცხი. საზოგადოდ, შუა საუკუნეთა ეპოქის ანტიფიქსებს შორის ყველაზე ადრეულია სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი ერთი ნიმუში, რომელიც ადრექრისტიანულ ხანაში, სავარაუდოდ კი IV საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი [11, 41]. არაუგვიანეს X საუკუნით თარიღდება ანტიფიქსები, რომლებიც აღმოჩნდა გუდავის ბაპტისტერიუმად მიჩნეულ ნაგებობის მახლობლად [5, 139-147], X საუკუნისაა კრამიტები ნაჯახოვოს „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესიიდან [4, 257, სურ. 9, ტაბ. LIV-2], XI საუკუნით თარიღდება ამოზნექილზურგიანი ნაპირა კრამიტები ფარზე ტოლმკლავა ჯვრების გამოსახულებით მანგლისის ეკლესიიდან [2, 25-26, ტაბ. 32-1].

ბუნებრივია, რომ შუა საუკუნეებში ანტიფიქსებზე, ბრტყელ კრამიტებსა თუ შორენკეცებზე ქრისტიანული სიმბოლიკის გამოსახულებები გამოჰყავდათ. კერძოდ: ვაზის რტოებისა და მტევნების გამოსახულებიანი რეგისტრის ქვეშ თასის წინ მდგომი ფარშევანგი ანტიფიქსზე ურბნისიდან [12, 117-118], ანდაც რაშზე ამხედრებული და შუბით დიოკლიტიანეს გა-ნმგმირავი წმინდა გიორგი სოფელ ქუცნის X საუკუნის ეკლესიის ანტიფიქსზე, მაგრამ ყველაზე ხშირად ჯვარს გამოსახავდნენ. სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი ჯვარი ამ უმთავრესი ქრისტიანული სიმბო-

ლოს ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ქართული ნიმუში უნდა იყოს. გ. ყიფიანის აღწერით იგი წარმოადგენს: „კვარცხლბეკზე აღმართულ „სიცოცხლის ხეს“, რომლის ქვედაშვებული რტოები „ბროწეულებითაა“ აღჭურვილი, ხოლო წვერი სამად განტოტვილი. მის ქვემოთ ჯვრის განივი მკლავებია გამოსახული. სიცოცხლის ხის მსგავსი მოტივები მთელს აღმოსავლეთს ახასიათებს, მაგრამ მისი გვიანხეთური სახე განივი მკლავებითაა აღჭურვილი და შეიძლება ვიფიქროთ, რომ სვეტიცხოვლის ნიმუშზე „ჯვარი“ დანამატი კი არაა, არამედ მოტივის ტრანსფორმაციის შედეგი“ [11, 41]. თანამედროვე კვლევების საფუძველზე ბიბლიის ძველდამოსავლური ძირები ეჭვს აღარ იწვევს. ამავდროს, სიკვდილის დამთრგუნველი და ადამიანებისთვის მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელი ჯვარი სიცოცხლის ხესთანაა გაიგივებული [21, 178]. აპოკრიფული ვერსიით ჯვარი გააკეთეს იმ ხისაგან, რომელიც აღმოცენდა სეითისათვის სამოთხის მცველი ანგელოზის მიერ მიცემული სიცოცხლის ხის ტოტისაგან [20, 74], ხოლო „აყვავებული“ ანუ „განედლებული“ ჯვარი უფლის ჯვრის, ე.ი. გოლგოთის ჯვრის და სამოთხის ხის ერთიანობის ხატია [1, 125]. ზემოთქმულის კონტექსტში საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართული (და არა მარტო ქართული) ორნამენტული მოტივი – ვარდული, მისი ასტრალური საწყისიდან გამომდინარე, სიცოცხლის ხის ნიშნად აღიქმებოდა და მთელ რიგ შემთხვევებში ჯვრის თანაბარმნიშვნელოვან და მის ჩამნაცვლებელ ელემენტს წარმოადგენდა [18, 44] და ქართული რელიეფური პლასტიკის ძეგლებს შორის ამის შესანიშნავი ილუსტრაციაა სათხის (VI-VII სს.), ბალიჭის (VI-VII სს.) და ბაშკიჩეთის (VI სს.) სტელათა ვარდულები [14, ტაბ. XXVII-1,2, XXXIX-2]. აქედან გამომდინარე, სავსებით ვიზიარებთ რა სვეტიცხოვლის ანტიფიქსის სემანტიკის გ. ყიფიანისეულ ინტერპრეტაციას, ერთდროულად იგი საქართველოში „აყვავებული ჯვრის“ იკონოგრაფიის უადრეს ნიმუშად გვესახება, რომლის შემდგომი ტრანსფორმაციის შედეგად საქართველოში იქმნება „განედლებული ჯვრის“ მრავალი მაღალმხატვრული გამოსახულება (მაგ., VI საუკუნის ანონიმურ მონეტა [17, 170, ტაბ. III-35], ბოლნისის, სათხის, ბალიჭის, დამბლუტისწყლის სტელები [ტაბ. XI-1, XV-2, XVI-2, XXXIV-3, LII-1,2,3, XCIV-4] და სხვ.). გ. ყიფიანიც, ივრის სიონის გველიხის კომბინირებული ორნამენტული მოტივის ანალიზის შედეგად დაასკვნის, რომ ეს კომბინირება უდევს საფუძვლად კლაკნილ, ლილვისებურ თავსართებს, რომლებზეც სიცოცხლის ხის ნაცვლად უკვე ჯვარია წარმოდგენილი [2, გვ.

98-99]. ზემოთ გამოვთქვით ვარაუდი, რომ შირაქის „შავი მთის“ საკულტო ძეგლზე მიკვლეული ანტი-ფიქსები V-VI საუკუნეებზე ადრინდელი უნდა იყოს, რის დამადასტურებელ არგუმენტად მათზე უაღრესად სქემატურად წარმოდგენილ სიციცხლის ხის გამოსახულებებს მივიჩნევთ, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სამშენებლო კერამიკის აღნიშნული ნიმუშები სწორედ რომ ადრექრისტიანული ხანის საწყის პერიოდს უნდა განეკუთვნონ.

ადრეული პერიოდიდან ქართულ დეკორაციულ ხელოვნებაში გავრცელებულია ჯვრის ორი ტიპი. პირველია მედალიონში ჩანერილი ტოლმკლავა, ე.წ. ბოლნური ჯვარი, რომელიც იმპერატორ კონსტანტინე დიდის აღმოსავლეთზე გამარჯვების სიმბოლოდ გამოცხადებული ჯვრის იმიტაციაა. ასეთი ჯვრები გვხვდება საქართველოს ადრეულ ძეგლებში, კერძოდ ბოლნისის სიონში და ურბნისში, აგრეთვე საქართველოში დიდი რაოდენობით შემონახულ სტელებზე. მეორე ტიპისაა მოგრძო ფორმის ჯვრები, რომელთაც პირველისაგან განასხვავებს შედარებით მაღალი ქვედა მკლავი. ორივე ტიპის ჯვრები ქართულ ხუროთმოძღვრულ დეკორსა და სტელების შემკულობაში თანადროულად არსებობენ, ძირითადად V-VI საუკუნეებში [20, 174-178]. ალავერდის ანტიფიქსის ჯვარი საერთო კონტურით ახლოს დგას V-VI საუკუნეების ქართულ სტელებზე გამოსახულ ჯვრებთან, რომლებიც ხშირად განედლებული ჯვრის სახით არიან წარმოდგენილნი; მაგრამ ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ მის გარკვეულ პარალელად დავასახელებთ ბოლნისის სიონის ბაპტისტერიუმში ხარის შუბლზე და ფარშევანგების ფიგურებს შორის გამოკვეთილ ჯვრებს, რომელთა ზედაპირიც ასევე სადა სიბრტყეებს წარმოადგენენ [20, ტაბ. IV-1,2], თუმცა გაცილებით მეტი მსგავსება, უფრო ზუსტად კი ანალოგიები ალავერდის ანტიფიქსს იგივე ბოლნისის სიონის ბურჯების ჩრდილოეთი მწკრივის მეხუთე ბურჯზე გამოკვეთილი ჯვრის [20, ნახ. 114], VI საუკუნის ურბნისის ბაზილიკის ინტერიერის [3, სურ. 6-1], აგრეთვე V-VI საუკუნეების კვილ-ქილისას და ბუჩარაშენის სტელის ჯვრების სახით ეძებნება [15, ტაბ. XXXIV-2].

რაც შეეხება ალავერდის ანტიფიქსის ჯვრის ქვემოთ მდებარე მორკალულ რელიეფურ ნაძერწს, მისი რაიმე პარალელი არ მოგვეპოვება; თუმცა ამ ელემენტის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით რეალურად გვესახება, რომ იგი განედლებული ჯვრის იკონოგრაფიული სქემის აუცილებელი ატრიბუტის-მცენარეული მოტივის უაღრესად პირობითი და ერთობ პრიმიტიული ვერსია უნდა იყოს.

ჩვენთვის ცნობილ ანტიფიქსებს შორის ალავერდის ნიმუშის მსგავსი და თანაც განედლე-ბული ჯვარი არცერთზე არაა გამოსახული. უმეტეს შემთხვევებში ამ ანტიფიქსების ჯვრები ტოლმლკავაა, რომელთა ბოლოები არც თუ იშვიათად გაპობილია. თავად ანტიფიქსების ფორმა (ქვედა ნაწილში სწორკუთხა, ზემოთ კი სამკუთხა სიბრტყე მოჩარჩოებული რელიეფური ზოლით) უაღრესად კონსერვატულია და მათზე გამოძერწილი ჯვრებიც ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან (მაგ., V-VI სს. ნოქალაქევ-არქეოპოლისის მეფეთა მეორე სასახლის და X ს. ნაჯახოვოს ეკლესიის ანტიფიქსები). ამდენად, შუა საუკუნეთა ხანის ჯვრის გამოსახულებიანი ანტიფიქსების ქრონოლოგიური გამიჯვნისათვის რაიმე მყარი საფუძველი არ გაგვაჩნია. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ჯვრებს და მთლიანად კრამიტის წინა პირს ხელით ძერწავდნენ, რის გამოც რომელიმე კონკრეტული ძეგლის ანტიფიქსების ერთი ტიპის ჯვრების ფორმა-მოყვანილობა და ზომები ხშირ შემთხვევებში განსხვავებულია ანუ არ არსებობდა ამა თუ იმ პერიოდისათვის ნიშანდობლივი სტანდარტი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხედვლობაში ვიღებთ რა ქრონოლოგიური მონაცემების შემცველ ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა კეცის შეფერილობა, გამოწვის ხარისხი და წითელი საღებავის გამოყენება, რაც ანტიკური ხანიდან მომდინარე ტრადიციას და ქართულ სამშენებლო კერამიკაში VI საუკუნის უგვიანეს არ გვხდება, აგრეთვე ჯვრის სტილისტურ მსგავსებას ამავე პერიოდის დეკორაციული ხელოვნების ცალკეულ ნიმუშებთან, ერთდროულად ანტიფიქსის თარიღის საკითხს განვიხილავთ ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრების სპეციფიკის კონტექსტში. სახელდობრ: ერთობ მცირე ზომის ანტიფიქსი, რომლის ფარზეც გამოსახული განედლე-ბული ჯვარი უთუოდ ვიზუალურად აღსაქმელ დეკორაციულ ელემენტს წარმოადგენს, ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის გუმბათოვანი ტაძრის გრანდიოზული მასშტაბებისათვის სრულიად შეუთავსებელია. აქედან გამომდინარე, საფუძველს მოკლებული არ ჩანს ვარაუდი, რომ ეს ანტიფიქსი ეკუთვნოდა იმ ტაძარს, რომელიც VI საუკუნის შუა ხანებსა თუ მეორე ნახევარში ააგო წმინდა მამა იოსებ ალავერდელმა და რომლის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი.

K. Tsereteli, M. Tsindeliani

### Antefix from Alaverdi Monastery

In 2006 during the archeological excavations of Alaverdi Monastery complex (so-called lower chamber) an antefix was discovered. Taking into consideration the circumstances of discovery in the north-west drifted layer of the lower “chamber” the comparative-stylistic analyse was used to establish the date the mentioned artefact. However, issuing from the fact that cross-formed representation of antefix known in Georgia are usually conservative, we shall consider the date of the object in the context of the architectural terracota found in the Alaverdi complex.

It is worthy to not the antefix finds no analogies among tiles of various types discovered in Alaverdi at different time. It must be mentioned that very small demensions of the antefix flourishing cross on the shield of which represents a visual decorative element, does not correspond to the huge scale of the dome-like Alaverdi Temple Saint-George.

The red colour of the surface of Alaverdi antefix must undoubtedly be taken into consideration.

This is a long-standing tradition in the Georgian architectural terracota, starting from the Classical (antique) period. This tradition came to the end in the late VI century A.D.

Judging from this one can suppose that the antefix belongs to the temple which was constructed by Saint-joseph in Alaverdi the middle of the second half of the VI century the ruins of which have been preserved till today.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აზაურაშვილი ნ. ოთხი ჯვარი ხელოვნების მუზეუმის „ათონური ტიპის“ ჯვრების კოლექციიდან. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, V. თბ., 1988.
2. დვალი მ. მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი. თბ., 1974.
3. ზაქარაია პ. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება. თბ., 1965.
4. ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ციხეგოჯი-არქეოპოლისის ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება. თბ., 1991.
5. ზაქარაია პ., ლექვიანაძე ვ. გუდავში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III. თბ., 1974.

6. ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ. ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI. თბ., 1978.
7. კალანდაძე ა. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. სეზონის ძირითადი შედეგებისათვის. ისტორიის ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური სესიის მასალები. თბ., 1959.
8. მაისურაძე ბ., რუსიშვილი რ. შირაქის ექსპედიცია 1988-1991 წლებში. არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1889-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები). თბ., 2004.
9. საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959.
10. ყიფიანი გ. კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბ., 2000.
11. ყიფიანი გ. სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები. მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი, V სამეცნიერო სესია, 2000 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბ., 2001.
12. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. თბ., 1964.
13. ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. ურბნისი, I. თბ., 1962.
14. ჯავახიშვილი გ. ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელეები. თბ., 1998.
15. ჯაფარიძე ვ. ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან. თბ., 1982.
16. Апокриптические сказания о Христе. С-Пб., 1912.
17. Капанадзе Д. Грузинская Нумизматика. М., 1955.
18. Мачабели К. Каменные кресты Грузии. Тб., 1998.
19. Чубинашвили Г. Болниси. Тб., 1940.
20. Чубинашвили Г. Архитектура Кахетии. Тб., 1959.
21. Frolow A. Les reliquaires de la vraie croix. Paris. 1965.

